№ 168 აგვისტო 14, პარასკევი 1887 აგვისტო 14, პარასკევი № 168

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 5

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ტფილისი, 13 აგვისტო

დღესაც, როგორც წინედაც, ერთად-ერთს საგანს დიპლომატიურის მიწერ-მოწერისას, შეუწყვეტელ ბაასისას და საერთო მღელვარებისას შეადგენს იგივ ბოლგარიის დაუბოლოვებელი საქმე. ამ ჟამად პოლიტიკასა და მწერლობას თვისი ყურადღება მიუქცევია იმაზედ, რომ პრინცი ფერდინანდი ბოლგარულს ენაზედ გამოცემულს პროკლამაციაში ბოლგარებს იხსენიებს ვითარცა „თავისუფალს ერს“, ხოლო ფრანგულს თარგმანში-კი, რომელიც სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა გაეგზავნა, იმავე ბოლგარებს იხსენიებს ვითარცა „საყვარელს ერს“. ეს განსხვავება ზოგიერთთა აზრით იმასა ნიშნავს, რომ პრინცს სურვილი აქვს ბოლგარიის დამოუკიდებლობა გამოაცხადოსო. თუ ეს ცნობა მართალია, რასაკვირველია, იგი დიდს შფოთს გამოიწვევს ევროპის პოლიტიკაში, რადგანაც ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადება არღვევს უმთავრესს მუხლს ბერლინის ტრაქტატისას, რომლის ძალითაც ბოლგარია პოლიტიკურად დამოკიდებული უნდა იყოს ოსმალეთზე და არ უნდა შეადგენდეს სრულიად თავისუფალს სამთავროს.

რას მოასწავებს, რისი მაჩვენებელია ბოლგარიის ახალის მთავრის განზრახვა და ბერლინის ტრაქტატის დარღვევა? ნუ თუ ყოველივე ესე საჭიროა ბოლგარიის საკეთილ-დღეოდ და პრინცის კობურგის სამთავრო ტახტზე დასამკვიდრებლად? რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა პრინცი, როცა განიზრახა ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, თუ კი ზემოთ მოყვანილი ხმა მართალი გამოდგა?

ეს საკითხავები დიაღაც დიდის მნიშვნელობისანი არიან, რადგანაც იმათის ახსნის საშუალებით შეგვიძლიან შევიგნოთ, თუ რომელის გზის ამორჩევა განუზრახავს ბოლგარიას თვისის საქმის დასაბოლოვებლად. თუ გავიხსენებთ, როგორ სწარმოებდა ბოლგარიის საქმე ამ უკანასკნელ წელთა განმავალობაში, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ბოლგარიას მიდრეკილება ჰქონდა სრულიად მოესპო თვისი დამოკიდებულება ოსმალეთზე, თუმცა იგი დამოკიდებულება აღვიარებულია ბერლინის ტრაქტატის ძალით. ეს სურვილი დიაღაც ცხოველია ბოლგარიაში, ამ სამთავროის წარმომადგენლებს კარგად ესმით, თუ რაოდენად დამაბრკოლებელია ბოლგარიისათვის ოსმალეთზედ დამოკიდებულება როგორც შინაგან საქმეებსა, ისე გარეგან საქმეებშიაც. ამ აზრს გვიმტკიცებს პირველის მთავრის მოქმედება ოსმალეთის მიმართ, სხვათა შორის, რუმელიის და ბოლგარიის ერთობის გამოცხადება, და სხვა. მაგრამ სრულის დამოუკიდებლობის დამკვიდრება შეუძლებელი საქმე იყო, რადგანაც ბოლგარიის მაგ საქმეში ევროპის ხელმძღვანელნი ძმურად ვერ მორიგდებოდნენ. თან-და-თან, რაოდენადაც ძნელდებოდა ბოლგარიის საქმე, მით უფრო რწმუნდებოდნენ ბოლგარები და მათი წარმომადგენელნი, რომ ბერლინის ტრაქტატია მიზეზი მათის ხელშეკრულობისა, რადგანაც იმ ტრაქტატში ნათლად განსაზღვრულია ის განყოფილება, რომელიც უნდა არსებობდეს ოსმალეთისა და ბოლგარიის შორის; ბოლგარების აზრით, მათი სამშობლო შეხუთული იქმნება, თუ რომ ოსმალეთზე დამოკიდებულება არ მოისპო, რადგან თვითონ ოსმალეთიც მდაბალი ღობეა, რომელზედაც ყველა მსურველნი გადახტებიან ხოლმე.

როგორც სჩანს, იგი აზრი თან-და-თან ძლიერდებოდა ბოლგარიაში. ამიტომაც პრინცმა კობურგისამ მოისაზრა, რომ სრულის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ბოლგარნი კიდევ უფრო გამხნევდებიან თავიანთ საქმის წარმოებაში და, შეიძლება, იმასაც ჰფიქრობს, ვითომ ევროპიელნი სახელმწიფონი იმის მოქმედებას და ბოლგართა გაძლიერებულს მედგრობას პატივს დასდებენ. რასაკვირველია, თუ მართლა პრინცმა ფერდინანდმა განიზრახა ბოლგარიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, აზრად ისიცა ჰქონდა, რომ თვისი გავლენა და სახელი განაძლიეროს და ბოლგართა სიყვარული და ნდობა მოიპოვოს და შეიმატოს.

ყოველივე ესე გვიმტკიცებს, რომ ბოლგარნი თან-და-თან მეტს გამბედაობას იჩენენ იმ დროს, როცა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ევროპა მზად არის გული აჰყაროს პრინცს ფერდინანდზე.

ძნელი სათქმელია, თუ რა ფასად დაუსმენ ბოლგარებს და მათს მთავარს ბერლინის ტრაქტატის დარღვევას, თუმცა ევროპას არა ერთხელ დაურღვევია იგი ტრაქტატი. ამიტომაც იგი გარემოება, რომელზედაც ამ წერილში ჩამოვაგდეთ ბაასი, მეტად საგულისხმოა, მეტად დიდის მნიშვნელობისაა.

ახალი ამბავი

*** ტფილისის იჯარადართ ძალიან ემდურიან აქაური მუშები და ხელოსნები იმის გამო, რომ ფულებს თავის დროზედ არ ურიგებენ ხოლმე. ექვსი დღე იწურავს მუშა-ხელოსანი შუბლზე ოფლსა და, რასაკვირველია, დიდად უჭირს მეშვიდე დღეს მუხლი ამოასუნთქოს, შეისვენოს, დაინახოს ქვეყნიერობა, ან აეი გაიგოს, ან კარგი, ერთის სიტყვით, თვალი აახილოს. მაგრამ საამისოდ ვინ გაჰხდის იმასა! უთუოდ კვირა დღეს უნდა ეახლოს იჯარადარს ფულისათვის და ელოდოს თითქმის შუადღემდე, მანამ ბ-ნი იჯარადარი მოისურვილებს ფულის გაღებასა. მუშა-ხელოსნები ეხვეწებიან, შაბათ საღამოობით მისცენ ხოლმე თავიანთი ალალი, რომ კვირა დღე აღარა ჰქონდეს საქმე თავის დამქირავებელთან და მთელი დღე გაატარონ ან ცოლშვილში, ან სწორ-ამხანაგებში. მაგრამ იჯარადართა გული ვერ მოარბილა ამოდენა ხალხის ხვეწნა-მუდარამ. ამათ მფარველი და პატრონი არსაიდამ გამოუჩნდათ, და ეს ერთი ზღვა მუშა ხალხი კვირა დღეს თორმეტ საათამდინ და ხან ორამდინაც უნდა იდგნენ ატუზულნი იჯარადრის კარებზე და ელოდონ თავიანთ ოფლით მონაგარ გროშებს, თითქო მოწყალება იყოსო.

ფელეტონი

უცხოთა შორის

აღთქმის ქვეყანა.—საწყალი მასწავლებელი.—მილიონების პატრონნი გლეხ-კაცნი. — უცნაური ანდერძი.—გული ვინ გაუკეთა ფრანგებს?—მაიმუნი ვინ გააჩინა? — შამპანური ღვინო.—მოტყუებული აფიცრები.—სარა ბერნარი და გაოცებული სათეატრო საზოგადოება. — ფეხ - მარდი ამერიკელი.—ბულანჟე და მკითხავი ქალი. — ბულანჟე და გულთ-მისანი.—სიცხე ქალაქ არადში.—ნადიმი წყალში.

იელის, იელის კაცი და ისევ ამერიკას მიადგება. ყოველი საკვირველი და გასაოცარი ამბავი ამ ქვეყანაში უნდა მოხდეს: ულმერთო გამდიდრება გინდა, იქ უნდა ეძებო, აუარებელის სიმდიდრის პატრონნი იქ არიან, ჭკუა მჭრელი და გონება-მახვილი ხალხი ამ ქვეყანას ასხია, მეცნიერების გამოყენება ცხოვრებაში საკვირველის მოხერხებით იქ იციან, მამაკაცისა და დედაკაცის უფლებათა გათანასწორება და გათანაბრება იქ შეიქმნა ხორცშესხმულ საქმედ, თუ კანონით არა, საქმით მაინც; გასართობი და ახირებული ამბები ხომ იმდენია, რომ ტომრებითაც ეზიდო, ვერ გამოლევ.

ეს არის მიზეზი, რომ ამერიკა ისეთივე აღთქმული ქვეყანაა ევროპიელთათვის, როგორიც იყო პალესტინა ისრაელთათვის. ვისაც გაუჭირდება თავის სამშობლოში, ვინც ველარას მოახერხებს თავის მამა-პაპათა ბინაზე, ამერიკაში მიდის ბედის საცდელად, კაცად გამოსასვლელად. ვინც თავის ქვეყანაში დევნილია ბედისაგან, გულ-ამღვრეულია რითიმე, არ მოსწონს ცხოვრება და კანონები თავის მამულისა, იქ მიემგზავრება და იქა სცდილობს გზა გაუხსნას თავის ნიჭს, ღონეს, კაცობას.

თითქო თაფლი სცხიაო, ისე იზიდავს ეს ქვეყანა აუარებელს ხალხს ყოველ-წლობით; იზიდავს ყველას, წოდებათა განურჩევლად, გვარ-ტომობის მიუხედავად. იქ მიდის ყველა გვარისა და თესლის კაცი და იქ იკეთებს ახალს ბინას, ითვისებს ახალს სამშობლოს და ახალის ძალითა და ღონით ებრძვის ახალ-ცხოვრების ზვირთებს. რა ეშველებოდა ევროპის ქვეყნებს, ჩინეთს და ბევრ კიდევ სხვას, საცა ხალხი გამრავლებულია და ვიწროობისა გამო-კი ცხოვრება გაძნელებული, რომ ეს ქვეყანა არ აღმოსჩენოდა და მის თავისუფლების მოყვარე მთავრობას გულ-გაშლით და დიდის სტუმართ-მოყვარეობით არ მიეღო ყველა შევიწროებული თავის სამშობლოში, ყველა გაჭირვებული, ყველა ჩაგრული და დევნული?

ვინ მოსთვლის, რამდენი მისული გაბედნიერა ამ ქვეყანამ, გაამდიდრა, გააკეთილშობილა და კაცად გამოიყვანა თავის საუკეთესო წესებისა და კანონების წყალობით!

ერთი ასეთი გაბედნიერებული ყოფილა ვილაც ლილინტალიცა, რომლის ამბავსაც ჩვენ ეხლავ მოვუთხრობთ ჩვენს მკითხველებს.

**

ვენგრიაში, ამ ორმოციოდე წლის წინად, სცხოვრობდა ერთი ღარიბი და საცოდავი ყმაწვილი კაცი. ამ კაცს დიდი სწავლა არა ჰქონდა და ამიტომ ძალიან უჭირდა ცხოვრება: საცა სცადა თავი, ყველგან არა გამოდნა-რა. გაჭირვებულმა ყმაწვილმა კაცმა ბოლოს ისევ თავის საცოდავს სამშობლო ქალაქ ვერბოს მიატანა და იქ, როგორც იყო, იშოვა ალაგი მასწავლებლისა. მასწავლებლობა, რასაკვირველია, დიდს სიკეთესა და დოვლათს ვერ შესძენდა ყმაწვილს კაცს. ჯერ დიდს ქალაქში რა არის მასწავლებლობა და იმისთანა პატარა ქალაქში ხომ, როგორიც იყო იმისი სამშობლო ქალაქი, რა იქნებოდა: ახალგაზდა მასწავლებელი შრომობდა, იღვწოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ძლივს იღებდა იმდენს, რომ მშიერი არ მომკვდარიყო. ბოლოს მოსწყინდა ასეთი ცხოვრება და გადასწყვიტა, რაც მომივა-მომივა, წავალ ამერიკაში და იქა ვსცდი ჩემს ბედს, იქნება ღმერთმა ხელი მომიმართოსო.

გამბედავი ყმაწვილი კაცი გაუდგა შორს გზასა და მივიდა ამერიკაში. აქ დაიწყო საქმეები, იქით მიდგა, აქეთ მოდგა, და შრომითა და ოფლით შეიძინა სიმდიდრე. მას უკან, რაც ეს კაცი გადიკარგა ამერიკაში, იმისი ამბავი ვენგრიაში აღარავის აღარა გაუგონია-რა. უცებ ამ დღეებში ერთს მშვენიერს დილას პატარა ქალაქი ვერბო ფეხზედ დადგა. ამ ქალაქს მოუვიდა ამბავი ბრაზილიიდამ, რომ აქ გარდაიცვალა ვენგრიიდამ მოსული დიდის შეძლების კაცი, გვარად ლილიენტალი, რომელსაც დარჩა რამდენიმე ათი და ოცი მილიონი შეძლება და დიდი ნახნავ-ნათესი მამულებიო. თავის ქონება მიცვალებულმა უანდერძა თავის ვენგრიელ ნათესავებსა და, თუ აღმოჩნდენ მანდ ამ გვარის კაცები, მოვიდნენ და ჩაიბარონ თავიანთი საკუთრებაო.

შეიქნა ერთი ამბავი. პოლიცია დატრიალდა და დაუწყო ძებნა მიცვალებულის ნათესავებს, რომელთაც ასეთი ლუკმა უვარდებოდათ ხელში. პოლიციას ბევრი ძებნა აღარ მოუნდა: მალე იპოვეს ქალაქ ვერბოში მიცვალებულის გვარის კაცები, ძმისწულნი მდიდარის ლილიენტალისა. და მერე ვინ აღმოჩნდნენ ეს სახლის-კაცები მდიდარის გარდაცვალებულისა? ვინა და სამი ძმა-კაცი, სამივე საწყალი და ღარიბი მხვნელ-მთესველები. საცოდავებს არა სჯეროდათ, რომ კარზე ასეთი ბედი მიადგათ. ასე უცბად გაბედნიერებულებმა მალე იშოვეს ფული სესხად და სიხარულით გასწიეს ამერიკაში ნაანდერძევის სარჩოსაბადებლის ჩასაბარებლად. არ გაივლის დიდი დრო და გუშინდელი ღარიბი და ლატაკნი გლეხ-კაცნი მილიონების პატრონებად გადაიქცევიან.

**

რახან ანდერძით დატოვებულს სიმდიდრეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშ ერთის ახირებულის ანდერძის ამბავსაც გიამბობთ. მართალია, ეს სიმდიდრე ლილიენტალის სიმდიდრეს არ შეედრება, რადგან სულ 600,000 ფრანკია, მაგრამ ამ სიმდიდრის მემკვიდრეც არ არის ისეთი ღარიბი, როგორც ლილიენტალის მემკვიდრე გლეხ-კაცები იყვნენ.

აი საქმე როგორ იყო:

საფრანგეთის ერთს ქალაქში ერთს მდიდარსა და შეძლებულს კაცს, თანამდებობით ქალაქის თავს, გვარად ბარელიეს, კარგად ნასწავლს და განათლებულს, ფათერაკად ერთი მცირე უბედურობა შეემთხვა. ქალაქის თავს მუშები ჰყავნდა დაჭერილი და რაღასაც აკეთებინებდა. როცა გასწორების დრო მოვიდა, ერთი მუშა აუხირდა, რომ ორ-ნახევარი ფრანკი კიდევ მერგებაო. ამაზე ბარელიე და მუშა შეჰხირდნენ. ქალაქის თავი მოთმინებიდგან გამოიყვანა მუშამ და გულ-სწრაფი ფრანგი ისე აღელდა, რომ რევოლვერით დახჭრა მუშა რაღაც ერთის მანათის გულისათვის. შესდგა საქმე და სასამართლომ ბარელიეს ორის წლის ვადით ციხე გადაუწყვიტა. ბევრს ეცადა ქალაქის თავი, მისი ნაცნობები და მეგობრებიც ძალიან დაფაცურდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ტფილისის ლაქიებმა და მოსამსახურებმა განიზრახეს ამხანაგობის შედგენა დამტკიცებულის წესდებით, მაგრამ აქამდის იმათ არა ეშველათ-რა. ამ წლის დასაწყისში ბ-ნ გუბერნატორ გროსმანსაც მიართვეს ქაღალდი, წესდების პროექტთან ერთად. ბ-ნმა გროსმანმა ძალიან მოიწონა ეს განზრახვა, კიდევაც დაჰპირდა, უეჭველად ვეცდები თხოვნა აგისრულოთო, მაგრამ ბ-ნი გროსმანი გადაიყვანეს, და თხოვნისა-კი ჯერ არა ისმის-რა.

რამდენადაც საჭიროა ამ თხოვნის დაუყოვნებელი შესრულება და ამხანაგობის დაარსება, დაინახავთ, სხვათა შორის, შემდეგის გასაოცარ მაგალითებიდამ:

ამ რამდენისამე კვირის წინ ტფილისის ქუჩებზე შეჰხვდებოდით გამწარებულს მამას, რომელიც მთელ ორის კვირის განმავლობაში მუხლ-ჩაუხრელი ეძებდა თავის შვილსა. ეს უბედური მამა გახლდათ ილიკო ბურჯანაძე შორაპნის მაზრიდამ. რომელ პოლიციის განყოფილებას არ მიადგა საცოდავი მამა, მაგრამ არც ერთგან არ იცოდნენ და ვერც მიაგნეს დაკარგულის შვილის კვალსა. ვინც-კი ქართველი კაცი შეჰხვდებოდა საწყალს ბურჯანაძეს, უეჭველად შეაყენებდა და თვალ-ცრემლიანი ჰკითხავდა, ხომ არ გინახავთ ასეთი და ასეთი პატარა ბალღიო.

1885 წელს იპოვნეს 12 წლის საჩხერელი ბიჭი, ილარიონ მაჭავარიანი, რომელიც მთელი ოთხი წელიწადი დაკარგული იყო. თურმე ვიღაც ვაჭარმა წამოიყვანა რვა წლის ბავშვი ტფილისში მოჯამაგირედ. პატრონებს არა სცოდნოდათ-რა. ვაჭარს ჯერ ტფილისსა ჰყოლოდა, მერე წაეყვანა ნუხში. მშობლებმა და ნათესავებმა ძალიან ბევრი ეძებეს და, რაკი ვერა გაიგეს-რა ბავშვისა, ეგონათ მოგვიკვდაო. ბევრი იცეს თავში, გამოიტირეს და გამოიგლოვეს თავიანთ ილარიონი. ოთხის წლის შემდეგ ნუხში გადაკარგულმა და უპატრონო ილარიონმა თვალი მოჰკრა ერთს იმერელ კაცს, გაქანდა იმისკენ, ჩამოეკანჭურა ყელზედ და ცრემლიანი ევედრება იმერელს—დამიხსენ ამ ჯოჯოხეთიდამ, სახლში წამიყვანეო. თურმე საძაგლად ეპყრობოდნენ საცოდავს ბავშვსა, აწვალებდნენ და აწამებდნენ იმ სიმხეცით, რისთვისაც ღმერთმა დალუპა სოდომი და გომორი. იმერელი მაშინვე მიუვარდა იმ ვაჭარს სახლში. ვაჭარი არ ანებებდა—ჩემთვინ გამოვზარდე უპატრონო (?) ბიჭი, რა გინდათ ჩემგანაო. მაგრამ იმერელს გაეძრო ხანჯალი და მხოლოდ ამ ღონის-ძიებით დაეხსნა საცოდავი მსხვერპლი გარყვნილებისა.

შარშან კიდევ ზურიაშვილის ბავშვი, ისიც შორაპნელი, ისიც დაკარგული, იპოვნეს განჯაში. მცირე წლოვანი გაეტყუილებინათ ტფილისიდამ. მშობელთ ისიც გამოეგლოვნათ. შემთხვევით მისდგომოდნენ მის კვალს. ისიც ილარიონივით ნაწვალები იყო თურმე, მშიერი, მწყურვალი, ტიტველი და გაჭირვებული.

რამდენია ამისთანა საშინელი მაგალითი. ამხანაგობა რომ ყოფილიყო ტფილისში დამტკიცებული, მაშინ ყველა ბავშვის გზა-კვალი ეცოდინებოდა ამხანაგობას, იზრუნებდა მათთვის და მათი დაკარგვაც აღარ გაამწარებდათ მშობელთ.

⁂ 12 აგვისტოს გამოსცადეს მილის წყალი მთა-წმინდაში. კარგა დიდს სიმაღლეზე და ღონიერადაც ისროდა მილი წყალსა. მთა-წმინდელებს ეშინოდათ, რომ მილებს იქამდის ვერ აატანინებენ წყალსაო, თუ მართლა ურიგოდ არის მოწყობილიო. ამიტომ ძალიან დიდი იყო რიცხვი ცნობის-მოყვარეთა, რომელნიც კმაყოფილნი დაბრუნდნენ სახლში.

⁂ ქუთაისიდამ: ამ დღეებში ქუთაისს იყო ბ-ნ პასტუხოვის წარმომადგენელი. იმან მიჰმართა ქალაქის გამგეობას საჭირო ცნობების შესაკრებად ქუთაისში წყლის გამოყვანის თაობაზედ. ამბობენ, ბ-ნი პასტუხოვი უფრო საიმედო კაციაო, ვინემ სხვანი, რომელნიც ეხლა ცდილობენ მიიღონ ნება-რთვა წყლის გამოყვანისა. ბ-ნ პასტუხოვს აქვს თურმე თავისი საკუთარი ქარხანა რკინეულობისა და გაუყვანია რამდენსამე ქალაქებში წყალი. ვნახოთ, რომლის წინადადება აჯობებს.

⁂ იქიდამვე: ეს სამი დღეა, ძლიერი სიცხეები დაიჭირა იმერეთში. სულს ძლივს ვიბრუნებთო. ამას მოჰყვა აღმოსავლეთის სულთა-მხუთავი ქარი, რომელსაც უწოდებენ ზენა ქარს. მადლობა ღმერთს, რომ 9 აგვისტოს საღამოს ჩადგა, თორემ გაგვიხმობდა ყველაფერს. მოსავლის პირი იმერეთში ჯერ-ჯერობით არ არის უიმედო, განსაკუთრებით ღვინისა.

⁂ ამ ჟამად ცხინვალში თურმე დიდი შიშიანობაა ვიღაც გავარდნილ ავაზაკებისა გამო, რომლებიც სად ცხენებს იტაცებენ, სად ქალებს და სად სარჩო-საბადებელსა. თუმცა პოლიცია დაეძებს, მაგრამ ვერსად ჩაიგდეს ხელში. ამათის მიხედვით, სხვები უარესსა სჩადიან. აი, მაგალითად პირველ აგვისტოს ერთი ვაჟბატონი, მ. პ. მ—ი, შეუხტა გასაუპატიურებლად ვენახში გლეხ-კაცის ცოლს, გვარად პ—შვილისას. თურმე ქალი დილით ვენახში მიდიოდა ლობიოს მოსაკრეფად. დაინახა თუ არა მ—მა, აედევნა უკანა. როდესაც დაუწყო ქალმა ლობიოს კრეფა, ეს ვაჟ-ბატონი წაეპარა, სტაცა ხელი და ქალი დასცა ძირსა. საცოდავმა მორთო ყვირილი—ვინა ხართ ქრისტიანები, მიშველეთო. იღბალზედ გამოუჩნდნენ ნამუსის დამცველი ქრისტიანები, გააგდებინეს ქალი გამხეცებულს კაცსა და წამოიყვანეს შეშინებული და დაგლეჯილ-დაფლეთილი ქალი თავის სახლში.

ამ საზიზღარ ამბის შემდეგ, მესამე ღამეს, ვიღაცაები მიუხტნენ ყორანაშვილს, ჩაუმტვრიეს ფანჯრები, უნდოდათ შესცვივნოდნენ სახლში და აეკლოთ, მაგრამ ყიჟინამა და ხალხის ხმაურობამ გააფრთხო და გაფანტა ავაზაკთა ბრბო.

⁂ ცხინვალიდამ: ცხინვალში დროებით მოგვივიდა პოლიციის ბოქაულად თავადი ხერხეულიძე და ბეჯითად ადევნებს თვალ-ყურს ყველაფერს, რაც მის ხელთ არისო. 8 აგვისტოს საჭმელ-სასმელი დაუშინჯა მედუქნეებს და დამპალი და აყროლებული თევზი და სხვა დააწვევინა ორ ფუთამდის. ორი ფუთი კი არა, ოცსა და ოც-და-ათსაც მეტს აღმოაჩენდა, მაგრამ გაგების უმალვე მიმალ-მომალეს მედუქნეებმა და გადაარჩინეს საძაგელი საქონელი. იმედი გვაქვს ხ—ძისა, როგორც ყმაწვილ-კაცისა, რომ სხვა დროსაც გაირჯება და თვალ-ყურს ადევნებს სასწორებს, საწყაოებს, საწონებს და სისუფთავეს. რომელიც მეტად აკლია იქაურს დუქნებს. ურიების ქუჩაში კაცს არ გაევლება: ამოდენა ურიაობაში მისადგომს ვერ ჰნახავს კაცი, რომ მიწაში იყოს ჩათხრილი და მისი სუნი არა ტრიალებდეს ყოველ ქუჩაში. იმას ხომ ვინ-ღა იტყვის, რამოდენა უსუფთაობასა და ნაგავსა ჰყრიან შიგ ქუჩებში.

⁂ იქიდამვე: აგვისტოს 9-ს ცუდი შემთხვევა მოუვიდათ აქაურ ყმაწვილ-კაცებს. სწორედ იმ დროს, როდესაც ეკკლესიაში წირვა იდგა, ესენი შეყრილიყვნენ ერთის 16 წლის ყმაწვილის დუქანში, სახელდობრ, ვასო ტერ-სიმონოვისას და შესცქეროდნენ გატენილ რევოლვერის ხელში ტრიალსა. ეს რევოლვერი ამოეტანა ერთ ურიას ტერ-სიმონოვისათვის, რომელსაც ეკისრნა ერთ შაურად გავაკეთებო. იმ დროს, როდესაც ეს აწვალებდა რევოლვერსა, მეორე ყმაწვილი წასწვდა —შენ არ იცი, აი ესე უნდაო. ამ დროს რევოლვერმა დაიგრიალა, და გულ-სისხლიანი ბავშვი ტერ-სიმონოვი დავარდა მიწაზედ. მიეშველნენ, გაუხსნეს გული და მარცხენა ძუძუს თავში კი ჰქონდა მოხვედრილი ტყვია. საჩქაროზედ გაჩნდა ბოქაული და მოაყვანინა მკურნალი. დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში. ცხინვალის მკურნალმა ქალაქიდგან მოიწვია ჯარაექიმი. უკანასკნელი იმავ დღეს ღამის 10 საათზედ ამოვიდა ტფილისიდამ, მაგრამ ტყვია ვერ უპოვნეს. მკურნალები ძალიან აიმედებენ მშობლებსა, მაგრამ ვინ იცისო.

⁂ ცხინვალის ხიდი თურმე ძალიან დაძველდა, ასე რომ ურემი შედგება თუ საქონელი, ხიდს ფამფალი გააქვს. გარდა ამ სენისა, ერთი კიდევ სხვა ჭირი სცემია ამ ხიდს—ფიცრები ალაგ-ალაგ ისე ამოიხვრიტა, რომ უთუოდ ფეხს მოიტეხს კაცი, თუ ძალიან ფრთხილად არ გაიარა ზედა.

⁂ სიღნაღიდამ: საკვირველია აქაურ მოქალაქეთა დაუდევრობა. ერთად-ერთი საცოდავი სამრეველო სკო-

---

მაგრამ სამართალის გადაწყვეტილება შეურყეველი შეიქმნა. გავიდა ერთი წელიწადი, მოვიდა ფრანგების დიდის საერო დღესასწაულის დღე, 14 ივლისი ამ წლისა. ბარელიემ იფიქრა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამ დღეს უთუოდ მაპატიებს ჩემს დანაშაულობასაო. მაგრამ საერო დღესასწაულმაც ჩაიარა და ბარელიეს-კი არა ეშველა-რა. ბარელიეს ისე ეწყინა ეს ამბავი, ისე გული მოუკვდა, რომ ამის შემდეგ ორი კვირა ველარ იცოცხლა და წელს 28 ივლისს გარდაიცვალა. სიკვდილის წინად ძალიან შეიძაგა ფრანგები და საფრანგეთი და გაჯავრებულმა დასწერა ანდერძი, რომლის ძალითაც მთელი თავისი ქონება, მამული და სარჩო-საბადებელი გერმანიის მემკვიდრე პრინცს უანდერძა, მხოლოდ ერთის პირობით-კი: ამ ფულით ჩემს მამულში გერმანელნი მხვნელ-მთესველნი დაასახლე და სამეურნეო ახალ-შენი გამართეო.

ყველამ იცის, რა ნაირ არ უყვართ ფრანგებს გერმანელნი. ამიტომ ბარელიეს ანდერძი, ცხადია, არ ეჭაშნიკათ ფრანგებს, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, უნდა შეეწყნარებინათ, რადგანაც კანონიერად იყო შედგენილი. ფრანგებმა მიცვალებულს ვერც ის დასწამეს, რომ ჭკვათა-მყოფელი არ იყო ანდერძის დაწერის დროსაო, რადგან ბარელიეს ეთქვა, რომ სასამართლო სასტიკად მომექცა და ტყუილად დამსაჯაო, მაშ მეც გულს დავწვამ ჩემ უსამართლო თანამემამულეებსაო და მართლაც ისეთი ღონე მოიგონა, რომ დასწვა-კი არა, მეტიც უყო. ახლა საქმე მხოლოდ იმაზეა შემდგარი, მიიღებს თუ არა გერმანიის მემკვიდრე პრინცი ასეთის უცნაურის პირობით ნაანდერძევს ქონებას.

**

თუ ფრანგმა ფრანგებს დასწვა გული და მოუშხამა გრძნობა მამულის-სიყვარულისა, სამაგიეროდ ერთმა ბელგიელმა მალამო მოსცხო ბარელიესაგან ასე ნატკენს მათს გულს. ამ ბელგიელმა დიდ-ძალი ქონება უანდერძა თავის ქვეყნის მთავრობასა და შემდეგი პირობა დაუდო: თუ ოდესმე ჩვენი ბელგია გერმანიის კერძი გახდა და ბისმარკმა მოჰხვია ხელი, ეგ ჩემი ქონება საფრანგეთის რესპუბლიკას გარდაეცეს და იმან მოიხმაროს ისე, როგორც თავად უნდოდესო. ბელგიის მთავრობას როგორღაც ეძნელებოდა ასეთის ნაანდერძევის მიღება, მაგრამ ბოლოს, ცოტაოდენის ყოყმანისა და ტოკვის შემდეგ, შეასრულა უკანასკნელი სურვილი და ნება მიცვალებულის ბელგიელისა და, ბისმარკის სამწუხაროდ, მიიღო ნაანდერძევი იმ პირობით, რა პირობითაც მდიდარმა ბელგიელმა უანდერძა.

**

რასაკვირველი, ეს ამბავი ძალიან ეამათ თავ-მომწონე ფრანგებს და დიდი მადლობელნი არიან ბელგიელისაცა და ბელგიის მთავრობისაცა. მაგრამ ფრანგები ისეთები არიან, რომ უბელგიელებოდაც თავს ყოველთვის გაიტანენ, უსამართლობას არავის არ შეარჩენენ და გერმანელების ჯავრს ხომ არას დროს არ შესჭამენ. აი მაგალითიც.

ერთხელ 1870—1871 წელს, როცა საფრანგეთსა და გერმანიას შორის გაცხარებული ომი იყო ატეხილი, ერთს საფრანგეთის მემამულეს ჩაუდგნენ სახლში გამარჯვებულის გერმანიის აფიცრები და ჩააცივდნენ თავისებურის სითამამითა და უზრდელობით: გაგვიგონია ქება შამპანურის ღვინისა და, გინდა თუ არა, ორიოდე ცხრა ბოთლი უნდა მოგვიტანო ამ საათში, თორემ არ გაცოცხლებთო. საწყალს მემამულეს იმ დროს შამპანური ღვინო არა ჰქონდა და არ იცოდა რა ექნა. ეუბნება აფიცრებს: არა მაქვს და რა ვქნა, რა მოგიტანოთ, გაუჩენელი როგორ გავაჩინოვო. მაგრამ ოტროველა „პრუსაკები“ თავისას არ იშლიდნენ: საცა გინდა იშოვე და მოგვიტანეო. საქმე რომ გაუჭირდა მემამულესა, იფიქრა: ამბობენ, გერმანელმა მაიმუნი გააჩინა და მოდი მეც ტყუილს შამპანურს ღვინოს გავაჩენო. ჩავიდა ფრანგი თავის მარანში, ამოიღო თავისი მდარე ღვინო, ჩაასხა ბოთლებში და შიგ ზელცერის წყალი ჩაუმატა. ამ წყალ-ღვინოს ჩააყარა ცოტაოდენი შაქარიცა. მერე აურია ცარცი და კვერცხის ცილა ერთმანერთში და დაბექდილს ბოთლებს თავი ისე გაუკეთა, როგორც შამპანურს ღვინოებსა აქვთ. გათხუპნა ეს ბოთლები ტალახში და მოუტანა ბრიყვს აფიცრებს. რამდენი ბოთლიც გახსნეს, იჭექა პრობკამ და ეცა ჭერს. ტყუილი შამპანური ღვინო შუშხუნით წამოვიდა ბოთლიდამ და წინწკლებივით დაიწყო ბჭყვრიალი ჭიქაში. ალტაცებულმა აფიცრებმა სვეს ეს უცბად გაჩენილი შამპანური ღვინო და ისე მოილხინეს, რომ სიხარულით კოცნა დაუწყეს მემამულეს: შენი ღვინო სანაქებო რამ არის, მირონია, ცხონებააო. ასე-კი მოატყუა და გააცურა ფრანგმა გერმანელები და გაისტუმრა სახლში. წადით ახლაო,—იფიქრა მემამულე ფრანგმა—და საცა თქვენი დაიკვეხოთ, იქ ჩემიცა სთქვითო. წავიდნენ აფიცრები და, ვინ იცის, იქნება დღესაც შამპანურის ღვინის ქებას ლაპარაკობენ გერმანიაში.

**

თუ მოტყუებაზედ მივარდა საქმე, ამერიკელიც მოახერხებს ტყუილს და ხშირად ისეთ ტყუილსაც მოახერხებს, რომ ყველანი უნდა გაფასდნენ იმასთან. ამერიკელისთანად ვერავინ ვერ იტყუებს, ვერც ტყუილად თავს იქებს და ვერც თავის დაწყობილს საქმეს უქებს საზოგადოებასა და ქვეყანას. და ყველა ამას ისე მოახერხებს, რომ ტყუილი ტყუილს არა ჰგავდეს, ქება—ქებასა. ამერიკული რეკლამა ყველამ იცის, რაც არის. რეკლამით ამერიკაში ხშირად დიდს სიმდიდრეს იძენენ. აი ამ სიმდიდრის შეძენას წაუტყუებია ერთი ამერიკელი თეატრის გამგებელიცა. ბევრსა ცდილა ეს ამერიკელი, მაგრამ თავის თეატრის საქმე დამში ვერ მოუყვანია. ბევრი უფიქრნია, რა მოვახერხო ისეთი, რომ ერთხელ მაინც შემოვიტყუილო ხალხი ჩემს თეატრშიო; თუ ვერ გავმდიდრდები, სავსე თეატრს მაინც დავინახავო. უფიქრნია და აი რა მოუფიქრებია: ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ამ ჟამად სახელოვანი არტისტი-ქალი სარა ბერნარიო, უთქვამს გულში მოხერხებულს ამერიკელს. მოდი ამ ქალის სახელს გამოვაცხადებ აფიშაში და ვნახოთ, თუ ჩემს თეატრს ისე არ დაედოს ხალხი, როგორც ბუზი თაფლსაო. მაგრამ სახელი რომ გამოვაცხადო და თვით არტისტი-ქალი არა თამაშობდეს ნამდვილად, არ ივარგებს და ასეთს მტკნარს ტყუილს არც მაპატიებენო. მაშ სხვაფრივ უნდა მოვახერხო საქმეო. აუღია თეატრის გამგებელს და ასე დაუბეჭდვინებია აფიშა: დღეს საღამოს ჩემი დასი წარმოადგენს ამა-და-ამ პიესასა და სარა ბერნარი მონაწილეობას არ მიიღებსო.

სიტყვა „არ“ ამერიკელს დაუბეჭდვინებია მეტად წვრილის ასოებით, ისე რომ საზოგადოებას ვერ შეუმჩნევია. დანიშნულს დროს მიაწყდა ხალხი თეატრს. ბილეთების გასასყიდი ფარდული კინაღამ იერიშით არ აიღო საზოგადოებამ. ყველა იხვეწებოდა, მიშოვეთ ბილეთი და რაც გინდათ, გამომართვითო, მაგრამ ბილეთის შოვნა აღარ იყო. სათეატრო დარბაზი მაყურებელის ხალხით გაივსო. დაიწყო წარმოდგენა. სულ-განაბული ელიან სახელოვან არტისტ-ქალს, მაგრამ სარა ბერნარი არ გამოჩნდა. თავდება ერთი მოქმედება, იწყობა მეორე და საყვარელი მოთამაშე მაინც არსადა სჩანს. ყველა გაჰკვირდა და გაოცდა, ეს რა ამბავია, ნუ თუ მოგვატყუილესო? და შეიქნა ყვირილი, ყიჟინი, მეორედ მოსვლა. სარა ბერნარი გამოვიდეს, სარა ბერნარიო! ისეთი ვაი-ვაგლახი ატყდა თეატრში, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. წარმოდგენა, რასაკვირველია, შესწყდა. გამოვიდა სცენაზე რეჟისსორი აფიშითა და უხსნის ხალხს,

ლა აქეთ სილნალელ სომეხთ თავიანთ შვილებისათვის და იმისთვისაც ვერ მიუხედნიათ და ვერ მოუვლიათ, ასე რომ ლამის არის სკოლის შენობა ზედ თავზე დაექცეთ საცოდავ შეგირდებს. იმას ხომ ვინ-ლა ჩივის, რომ ღარიბების შვილებს ვერ მოუხერხეს მუქთად სახელმძღვანელოების მიწოდება და მათთვის სწავლის გაადვილება.

წერილი ქუთაისიდამ

(საადგილ-მამულო ბანკი)

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მართველობას მოლაპარაკება აქვს ბ-ნ ლორთქიფანიძესთან მირზოევისეულ მამულის გაყიდვაზე. რადგან ეს საქმე ძლიერ სამძიმოა, ამისათვის საჭიროა ისე მალულად და ჩუმად არ გათავდეს, როგორც გათავდა ამას წინად იმავე მირზოევისეულ მამულის (სასტუმროს) გაყიდვა, რომელზედაც ჩვენმა ბანკმა იზარალა სამი ათასი თუმანი. საჭიროა ყველამ, ვისაც-კი შეუძლიან, თავისი წრფელი აზრი წარმოსთქვას ამ საგანზე, რომ ეს ფრიად სახიფათო საქმე რიგიანად დაბოლოვდეს. ჩვენც ვეცდებით შეძლებისამებრ ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ ამ საგანზე. ეკონომისტები სამართლიანად ამბობენ: ქონების შეძენა ისე საძნელო არ არის, როგორც მისი რიგიანი მოხმარებაო. შესანიშნავია ისტორიული მაგალითი მთელის ისპანიის სახელმწიფოს გაღატაკებისა. ისპანია გაღარიბდა სწორედ მას შემდეგ, რაც მთელის ქვეყნიერების ოქრო-ვერცხლი და ავლა-დიდება ხელთ იგდო XV—XVI საუკუნეში. რასაკვირველია, ეს მოხდა მხოლოდ ურიგო მოხმარების გამო. შორს ნუ წავალთ და ავიღოთ ჩვენის თავად-აზნაურების გარემოება. მართალია, ქართველს კაცს შეძენაში დიდი იღბალი არა აქვს, მაგრამ ამ ათიოდის წლის წინად-კი გააჩნდა თავად-აზნაურობას სარჩო-საბადებელი. ეხლა რას ვხედავთ? ყველამ კარგად იცის, რომ უმეტესი ნაწილი ადგილ-მამულისა ტფილისის გუბერნიაში გადადის ვაჭრების ხელში და ქუთაისის გუბერნიაშიაც—სხვებისაში.

დავუბრუნდეთ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად იგი არ იყო ისეთ ცუდ მდგომარეობაში, როგორც ეხლა. მას ჯერ არ გამოეცადა ის აუარებელი ზარალი. მაშინ მას საზოგადო საჭიროებისათვის, ე. ი. სკოლის ასაშენებლად ჰქონდა ოთხი ათასი თუმანი გადადებული. ეხლაც რომ ამოდენა ფული გვქონდეს, შევიძლო ჩალის ფასად შეგვეძინა აქაურის გიმნაზიის სასახლე, რომელიც ჩვენის თავად-აზნაურობისათვის დაუფასებელი იქნებოდა როგორც თავისის შენობით, აგრეთვე თავის მდებარეობით.

რად მოუვიდა ბანკს ასეთი საქმე?— იმიტომ-რომ ჩვენში ყოველ საზოგადო დაწესებულებას თვალ-დახუჭულები უყურებენ. ვთქვათ, ბევრი შეცდება მიუძღვის საზოგადოებას ბანკის საქმეებში, მაგრამ ვერც ბანკის გამგეობა იქცევა მომჭირნედ. მაშორის ღმერთმა, რომ რამე ეჭვი შევიტანო მათ სიპატიოსნეზე და კეთილ განზრახვაზე!

ჩვენმა ცხოვრებამ მათ დიდი ვალდებულება დაადვა კისერზე. ეს ვალდებულება მოითხოვს მათგან, რომ ბანკირის თვისებას მათ შეუერთონ გამგებიანის და მომჭირნე პატრონის თვისებანიც. მათ უნდა შეიძლონ მოვლა იმ მამულებისა, რომელნიც გაუყიდველი რჩება ჩვენს ბანკს. გამგეობა უნდა დაეპატრონოს მათ, რიგიანად ასწიოს, თუ შეიძლება, მათი შემოსავალი და ბოლოს გაყიდოს პირიან ფასად, რომ არ იზარალოს, როგორც ეს მოგვდის თითქმის ყოველ გაყიდვაზე. უამისოდ ეს ზარალი, ვინ იცის, სად მაგვიყვანს. ვთქვათ, ეკონომიური კრიზისი საყოველთაო მოვლენაა ჩვენის ქალაქებისათვის, და წინად მიღებული მამულები ძნელია, რომ ზარალით არ გაიყიდოს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს გუბერნიაში არა თუ არ მოაკლებია ფასი ადგილ-მამულს სოფლად, არამედ მოემატა კიდევაც? ვინ არ იცის, რომ თუ მიწას მიაწვდი ჩვენებურ გლეხს, ის მისთვის არაფერს დაზოგავს და ასის მანეთის საღირალში ორას მანეთს იძლევა.

მირზოევის მამულზე იყო თავდაპირველად ვალი ოცი ათას ხუთასი თუმანი. ეხლა დარჩა კიდევ ჩვიდმეტ ათას ოთხასი თუმანი. ბ-ნი ლორთქიფანიძე, როგორც გავიგეთ, იძლევა მხოლოდ ამ მამულში ჩვიდმეტ ათას ოთხ ას თუმანს. ამ ფასად რომ გაიყიდოს ეს მამული, ბანკი იზარალებს ექვსი ათას ცხრა ას თუმანს. თუ ამ ზარალს დავსძენთ იმ ზარალსაც, რომელიც ბანკს მოუვიდა მირზოევის სასტუმროს გაყიდვით, ათას თუმანს, ეს ერთობ ბევრი მოდის.

ჩვენა ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ჯერჯერობით არ გავყიდოთ ხსენებული მამული. ამაზედ მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას. მაგრამ უადგილო არ იქნება ამისათვის მოკლედ აგწეროთ თვით ეს მამული, რადგან ეს საჭიროა იმერელ მკითხველებისათვის. წარმოიდგინე, მკითხველო, ტფილისის შუა-გული ადგილი. შიგ მტკვარში კარგა მოზრდილი კუნძულია ამოზიდული ორს დიდ ხიდ შუა, რომელზედაც ცხენის რკინი-გზა გადის. ამ კუნძულზედ, გზის ორივ მხრივ, ჩამწკრივებულია მაღაზიები, ოც-და-ათი ერთს მხარეზე და ოც-და-ათიც მეორეზე. ყველა მაღაზიის ქვეშ თითო სარდაფია. ამ შენობებს ცალ მხარეზე აკრავს ორი ათასი ოთხ-კუთხი საჟენი თავისუფალი მიწა, მეორეზე—სამი ათასი. ჯერ მარტო ეს ცარიელი ალაგი რომ ავიღოთ, სივრცით ხუთი ათასი ოთხ-კუთხი საჟენი, შვიდ თუმან ნახევრის გვალობაზედ თითო საჟენი, ეღირება ოც-და-ჩვიდმეტ ათას ხუთ ასი თუმანი. მაგრამ ავიღოთ ნაკლები ფასი, ხუთი თუმანი, და მაშინაც ის ადგილი შენობის გარდა ეღირება ოც-და-ხუთი ათასი თუმანი. სწორედ ის, რაც მიგვიცია მთელ იმ მამულებში შენობებიანად. იქნება თქვან, რომ ასე ცარიელ ადგილის მყიდველნი შენს სურვილზე როდი მოვლენო. დავანებოთ მაგას თავი. ავიღოთ მისი შემოსავალი ეხლანდელი და მოსალოდნელი, და ხარჯიც ამ მამულზე. ეხლა ამ მამულზე შესატანი ფული წლიურად არის ოც-და-ხუთ-ათასი მანათი. მაგრამ რომ განვაახლოთ გირაობა დარჩენილის ვადის შესაბამად, მაშინ მოუწევს მხოლოდ ჩვიდმეტი ათასი მანათი. შემოსავალი ეხლა აქვს მამულს მხოლოდ ცამეთი ათასი მანათი. სულ ოთხასი თუმნის დამატება შეგვხვდება წლიურად, შემოსავალმაც რომ არ აიწიოს და ვერც გავყიდოთ ცარიელი ალაგები. მაგრამ თვრამეტის წლის შემდეგ ეს მშვენიერი მამული გადიხდის ვალს და გახდება ჩვენის თავად-აზნაურების სრულ კუთვნილებად.

ეხლა მოვიხსენოთ მოსალოდნელი შემოსავალი. მაგრამ ეს ცოტა შორიდგან უნდა დავიწყო და მკითხველს ვსთხოვ მოთმინებას.

მთელს ტფილისს, ამ ვეებერთელა ქალაქს, არა აქვს რიგიანი და ვრცელი ბაზარი მწვანეულობისა, ხილეულობისა, თევზეულობისა და ბევრ სხვა საქონლისათვის. ეს გარემოება ქალაქის გამგეობას კარგად ჰქონდა შეგნებული და ამ აზრით კიდევაც გახსნა ბაზარი ავლაბარში, მაგრამ სიშორის გამო იქ არავინ დადის. მირზოევისეული ცარიელი ალაგი-კი ზედ გამოჭრილია ბაზრისათვის, რადგან შუა-გულია მთელის ტფილისისა. ამ ქარვასლის ალაგს აკრავს თვით ქალაქის საკუთარი ალაგი ორი ათასი ოთხ-კუთხი საჟენი, მაგრამ მარტო ის არ იკმარებს და ორნივე-კი ერთად ძრიელ საკმაო და კარგიც იქნება. ჩვენის ბანკის გამგეობამ ოღონდ მოიწადინოს ქალაქის გამგეობასთან მორიგება, შევუერთოთ ჩვენი ალაგები ქალაქისას, გავამაგროთ ნაპირები ქვითკირის კედლით და გავმართოთ საბაზრო ადგილი. ქალაქის გამგეობა მძიმედ თავს დაუკრავს ჩვენს ბანკსა და დიდის სიამოვნებით აღასრულებს ამას, თუ-კი დავეხმარებით. ჩვენ კიდევაც გაგვიგონია, რომ ქალაქს ჰსურდა ამ აზრით მირზოევისეულის მამულისა და შენობის შეძენა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა.

თუ ეს გავარიგეთ, მაშინ ხალხი განუწყვეტლივ იქნება ჩვენს მამულში, მაღაზიებს ფასები მოემატება და სამ ასის მანათის მაგიერ ოთხ ასს შემოიტანს თითო ნომერი. აგრეთვე სარდაფები ექვსის თუმნის ნაცვლად ოცს შემოიტანს თითო, რადგან ბაყლები მათ ვერ მოეშორდებიან. თვითონ ბაზარში შეგვიძლიან დავაკეთოთ კარვები, საიდგანაც ფული შემოვა საკმარისად. სულ უკანასკნელ ანგარიშით, შემოსავალი მაშინ უნდა იქმნას ოც-და-ათი ათასს მანათიდგან ოც-და-თხუთმეტ ათასამდე. ამ ნაირი მამული უნდა დავკარგოთ ჩალის ფასად!!

ჩვენ თუ ვერაფერს ახალს ვერ მოვიგონებთ, სხვის კარგ მაგალითს მაინც წავბაძოთ. აი, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკმა დაიტოვა არწრუნის ქარვასლა, მაგრამ როდი სტირის და არც ენანიან. პირ-იქით, ერთბაშად გამოიღო სამი ათასი თუმანი და დახარჯა ზედ მამულის გასაუმჯობესებლადა, და ჰნახავთ, როგორ მალე ამოიღონ დანახარჯი!

ვასურვებთ მხოლოდ, რომ ამ წერილმა მიიქციოს ყურადღება როგორც ბანკის გამგეობისა, ისე იმათი, ვისაც

რადა თხოულობთ სარა ბერნარს, როდის დაგპირდით, რომ სარა ბერნარი ითამაშებსო. აი აფიშა, წაიკითხეთ, რა სწერიაო. მაგრამ აღელვებულს საზოგადოებას არაფრის გაგონება არ უნდოდა: თეატრის გამგებელი გამოვიდეს, შენ მოგვშორდი თავიდგანაო. თეატრის გამგებელმა შეატყო, რომ საქმე ცუდად არის და ჩემი ხუმრობა ვაი თუ ძვირად დამიჯდესო. ადგა, ჩაიწყო ჯიბეში, რაც იმ ღამეს ფული შემოვიდა, და... თავს უშველა, გაშპა გურულივით...

**

გაჭირვება მიჩვენე და მე გაქცევას გიჩვენებო. სწორედ ასე მოსვლია ამერიკელ თეატრის გამგებელსაც. გაჭირებას დაუტანებია ძალა და იმიტომ მოუფიქრებია ისეთი უცნაური აფიშა. გაჭირვებასვე დაუტანებია ძალა და იმიტომ გაქცეულა. უთუოდ გაჭირებამ დაატანა ძალა საფრანგეთის სახელოვანს გენერალ ბულანჟესაც, რომ ორჯელ მიჰმართა ამ ცოტას-ხანში გულთ-მისნებსა და მკითხავებს, აბა მიკითხეთ, რა ბედი და ყისმათი მომელისო.

ერთს მკითხავს, სახელად მადამ რეინალს, რომელსაც თავის დღეში თვალით არ უნახავს გენერალი, უთქვამს ჯერ ისევ მაშინ, როცა ბულანჟე სამხედრო მინისტრი იყო:

— შენ სამხედრო კაცი უნდა იყო, თუმცა ტანისამოსი სამხედრო კაცისა არ გაცვია. დიდი ჩინიც უნდა გქონდეს. ლაშქრობაში ბევრჯელ ყოფილხარ და კიდევ ბევრჯელ წახვალ საომრად და სალაშქროდ.

ბულანჟემ ისე აჩვენა თავი მკითხავს, ვითომ ტყუილია, რასაც ამბობო, მაგრამ მკითხავმა უპასუხა:

— მე შენის ხელის-გულის ხაზებს ვუცქერი და იმას ვამბობ, რასაც ვხედავ.

გენერალს ღიმილი მოუვიდა და მკითხავმა ქალმა კვლავ განაგრძო:

— შენ დიდი ალაგი გიჭირავს. არ გეგონა და იმედი არა გქონდა, რომ მაგ ალაგის ღირსი შეიქმნებოდი. მაგრამ დიდხანს ვერ დაიჭერ თავს, მალე დაჰკარგავ მაგ ალაგს.

გენერალს სახეზე შეეტყო, რომ მკითხავის სიტყვები არაფრად ემა.

— ნუ დაჰკარგავთ იმედს, ანუგეშა გენერალი მკითხავმა ქალმა,—შენი ხელის-გული მეუბნება, რომ შემდეგში ბედი სახელმწიფო ტახტზე აგიყვანს.

როცა მკითხავს ქალს უთხრეს, რომ ეგ კაცი, რომელსაც შენ უკითხავდი, გენერალი ბულანჟე იყოვო, ქალმა სთქვა:

— მაშ კარგად მოვიქეცი, რომ ყველაფერი არ გავუმჟღავნე... ეგ კაცი თავისით არ მოკვდება, მახვილის წერაა...

გენერალს ამ გარემოებამ უფრო განუცხოველა ცნობის-მოყვარეობა. ერთხელ ბულანჟე ერთს თავის ნაცნობ ექიმთან წავიდა. იქ იყო სხვათა შორის სახელ-განთქმული ექიმი, პროფესორი შარკოც. დაიწყეს მუსაიფი ხან რაზე, ხან რაზე და ბოლოს ჰიპნოტობაზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი. შარკომ სთქვა, რომ ბევრი რამ მწამს ჰიპნოტობისა, მაგრამ იმას-კი თავის დღეში ვერ დავიჯერებ, თუ ჰიპნოტის ძალით შეპყრობილს გულთმისნობა და წინასწარ-მეტყველობა შეეძლოსო. ზოგმა ჰო სთქვა, ზოგმა არა. აიღეს დაიღეს და გადასწყვიტეს, აბა ვცადოთო. დააძინეს ჰიპნოტის ძილით ერთი ახალგაზრდა, მეტად სუსტის აგებულებისა და ნერვების ქალი. დამძინებელმა უბრძანა მძინარე ქალს, მოჰკიდე ხელი აი ამ კაცსაო და მიუთითა ბულანჟეზედ. წარმოიდგინეთ ბულანჟეს გაკვირვება, რომ ამ ქალმაც იგივე სთქვა ბულანჟეზე, რაც მადამ რეინალმა იწინასწარ-მეტყველა: მალე დაჰკარგავთ დღევანდელს ალაგსაო. მაგის გამო ხალხი ძრიელ აღელდება, არეულობა დაიწყება, მაგრამ სისხლი-კი არ დაიქცევაო. ყველა ეს მართლა ასრულდა და ახდა, მაგრამ ის-კი არავინ იცის, ახდება თუ არა ის, რაც სთქვა შემდეგ გაგულთ-მისნებულმა. და აი რა სთქვა მან შემდეგ:

— საშინელს ამბებსა ვხედავ, დიდი და საშინელი სანახავი მელანდება,— ფრანგნი და გერმანელნი დაარღვევენ მშვიდობიანობას, სასტიკი ომი ასტყდება მათ შორის. სხვა ერნი არ მიიღებენ მონაწილეობას ამ ომში. ეს ომი დაიწყობა მერმისს, 28 მარტს.

აღელვებული გენერალი კვლავ ეკითხებოდა, როდის გათავდება ომი, ვინ გაიმარჯვებსო.

— ომი რვა თთვეზე მეტს და ექვს თთვეზე ნაკლებს ხანს არ გასტანს. ხან ერთნი დაიძლევიან, ხან მეორენი. ბოლოს გაიმარჯვებენ ფრანგნი, გენერალ ბულანჟეს წინამძღოლობით, მაგრამ მდ. რეინს-კი მაინც ვერ გავლენ. რეინის გაღმა მხრისკენ მე ვხედავ, რომ არეულობა მოხდება, სამეფონი დაირღვევიან, სახელმწიფო ტახტნი შეირყევიან...

— რეინის გამოღმა რაღასა ჰხედავ?

— რეინის გამოღმა ძლევა-მოსილს გენერალს პრეზიდენტად აირჩევენ. ის იქნება ყველაზე უდიდესი და უმაღლესი.

ვინ იცის, იქნება მართლა ბულანჟეს კოჭი ალჩუს დაჯდეს და გერმანელებს დიდი სიცხე დაადგეთ!

**

ნამდვილად გერმანელებს როდის დაადგებათ სიცხე, მერმისს გაზაფხულზე, თუ შემდეგ, ეგ ჩვენ არ ვიცით და წრევანდელს ზაფხულს-კი რომ მართლა დიდი სიცხეები დაუჭერია ყველგან, ეს-კი ნამდვილია. წრევანდელი სიცხეები სწორედ აფრიკის სიცხეები ყოფილა ევროპაში და ძალიანაც შეუწუხებია ხალხი, მეტადრე ისეთი ხალხი, რომელიც ზაფხულში ლხინსა და ქეიფს მისდევს. საერთო ბედი არ ასცდენია არადის ქალაქსაც. ამ ქალაქში ისეთი სიცხე-პაპანაქება დაუჭერია, რომ თონესავით გახურებულა ქვეყანა: სიცხისაგან აღარც ჭამასა ჰქონია გემო, აღარც სმას. ლხინი და დროს გატარება ხომ რაღას მოხერხდებოდა. ამ გარემოებას ყველაზე მეტად არადელი ქალები დაუღონებია. მოგეხსენებათ, ქალებს უფრო უყვართ გართობა, დროს გატარება და ლხინი და, რასაკვირველია, რომ არადის ქალები ძალიან დაღონდებოდნენ და დაძმარდებოდნენ. მაგრამ ერთმა არადელმა ქალმა დაიხსნა თავისი მეგობრები ამ საშინელის გაჭირვებისაგან. მოხერხება ქალებსაც არ აკლიათ, და თუ მოინდომეს, კაცებსაც გადააჭარბებენ. არადელი ქალი დიდხანს არ ყოფილა საგონებელში და მალე მოიგონა ისეთი ხერხი, რომ სიცხეს სრულიად არ მოჰრიდებოდნენ და იმდენი ემხიარულნათ, რამდენიც იმათს სულსა და გულს უნდოდა. არადელმა ქალმა შეუთვალა თავის მეგობარს ქალებს, დღეს ჩემი დღეობაა და მეწვიეთო. ისე გალხინებთ და განადიმებთ, რომ სიცხემ არ შეგაწუხოთო. ახლა არ იკითხავთ, რა მოახერხა ამ ლხინის მოყვარულმა ქალმა? აი რა მოახერხა: უბრძანა თავის მხლებლებს, რომ დღეს სადილი საბანაო ფარდულში გამართეთო. დანიშნულს დროს შეიკრიბნენ სტუმრები და დაიწყო

სმა-ჭამა, დიდი პურობა...

საჭმლებით სავსე და თაიგულებით შემკული სტოლები, შიგ წყალში იყო გამართული. ბანოვანნი კეკლუცნიც შიგ წყალში ნებივრობდნენ და ისე შეექცეოდნენ. ლხინით ბევრი ულხენიათ, მაგრამ, ამბობენ, რომ ერთი რამ არ მოეწონათ მოქეიფე ქალებსაო. სახელდობრ ის არ მოეწონათ, რომ სადილზე ტანისამოსით ყოფნა არ შეიძლებოდა, მაშასადამე კავალრებიც არ იყვნენ დაპატიჟებულნი, და, აბა, უკავალრებოდ ქალების ლხინი და ქეიფი ხომ სრული ლხინი და ქეიფი არ იქმნებოდა.

მაგრამ ამას ბოროტის ენის კაცები ამბობენ და არადელ ქალებს-კი ძალიან უხარიანთ, რომ სიცხესაც-კი ვძლიეთ და თუ მოვინდომებთ, კაცებს უფრო ადვილადა ვძლევთო.

გრ. ყ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული შესტკივა ჩვენს ბანკასა და თავად-აზნაურების სკოლების ბედ-იღბალზე.

გურგენ

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბევრსა ჰგონია, რომ ხვნა-თესვა გლეხ-კაცისათვის ძალიან ადვილი მოსახერხებელი საქმეა და არავითარი დაბრკოლება ამ საქმეს ხელს არ შეუშლის, ოღონდ-კი შრომა არ დაიზაროს გლეხ-კაცმაო. თუ მხვნელ-მთესველ გლეხ-კაცს შრომა შეუძლიან, ფული ადვილ-კი მოუნდებაო. მამული აქვს, მარჯვენა უჭირს, გუთანი და სხვა სამეურნეო იარაღი სახლში მოუხერხდება და სხვა რაღა უნდაო.

რომ მართლა ბევრი ასე ფიქრობსო, ამბობს გაზ. „Рус. Вѣд."-ი, ამის დასამტკიცებლად დავასახელებთ იმ გარემოებას, რომ არავინ არა ცდილობს ფული მიაშველოს გლეხ-კაცს ხვნა-თესვისათვის. ვაჭრებსა და მრეწველთ ათასი სხვა-და-სხვა ბანკები და ფულის სასესხებელი დაწესებულება აქვთ. ამ ბანკებიდამა და დაწესებულებიდამ ძალათი ახვევენ თავზე ფულს იაფის სარგებლით ვაჭართა და მრეწველთ. გლეხ-კაცთა და მხვნელ-მთესველთათვის-კი არავითარი ხელ-გასამართავი დაწესებულება არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასოფლო ბანკებსა და გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა, რომელთა რიცხვი მცირეა არის და თანაც ისე ნაკლებადა აქვთ ფული, რომ თავის დღეში გლეხ-კაცის საჭიროებას ვერ გასწვდება.

გლეხ-კაცს, სხვა რომ სული არა იყოს-რა, ხშირად სჭირდება ფული საქონლისათვის, ურომლისოდაც გლეხ-კაცი ხელ-მოკლეა და ყოვლად უღონო. ხშირად სჭირდება აგრეთვე თესლიცა, მეტადრე ისეთს ადგილებში, საცა ან სეტყვა იცის ხშირად, ან გვალვა, და ან მოცდენა ჭირნახულმა. მაგრამ გლეხ-კაცისათვის უველაზე საჭიროა მუშა საქონელი და აი ამ მუშა საქონლისათვის დაძრწის ხშირად გლეხი, მიდის ფულიან კაცებთან და მამა-სისხლად იღებს რამდენსამე თუმანს ვალადა.

ყოვლად საჭიროა, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. სესხად გაცემა გლეხობაზე სათესლესი და საქონლისათვის სასყიდელის ფულისა ძალიან ადვილად მოსახერხებელი საქმეა და საკვირველი მხოლოდ ის არის, როგორ მოხდა, რომ აქამდე არც მთავრობამ და არ სხვა-და-სხვა კერძო საზოგადოებამ არ მოჰკიდა ხელი ამისთანა ნაღდსა და მადლიანს საქმეს. ამ საჭიროებისათვის გლეხზე გაცემული ფული თავის დღეში არ დაიკარგება და მსესხებელსაც სარგებლობას მისცემს, გლეხ-კაცსაც ფეხზედ დააყენებს.

შვეიცარიასა და გერმანიაში არსებობენ ცალკე დაწესებულებანი ანუ ბანკები, რომელნიც სესხად აძლევენ გლეხ-კაცთ ფულს მუშა საქონლის სასყიდლად. მუშა საქონელს ან თვით ბანკი ჰყიდულობს და აძლევს მხვნელ-მთესველს, ან თვითონ გლეხ-კაცი ჰყიდულობს ბანკის ზედამხედველობით; ასე ნასყიდი საქონელი, ხარი თუ ძროხა, ჰყავს გლეხ-კაცს, ამუშავებს და ჰსარგებლობს. იმის საკუთრებად-კი მხოლოდ მაშინ გახდება ეს ნასყიდი საქონელი, როცა ბანკს თავის ფულს დაუბრუნებს.

ამისთანა ბანკები, ცხადია, დიდსა და დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხვნელ-მთესველ გლეხ-კაცობასაც.

წვრილი ამბები

— გერმანიის მემკვიდრე პრინცის ხელმძღვანელობითა და [illegible] ბერლინში დაუარსებიათ მირკვლედ უმაღლესად იაფი სასტუმრო სტუდენტებისათვის. ამ სასტუმროში სულ უბრალო და მცირე ფასად სტუდენტებს სუფთა და გემრიელი საჭმელი ეძლევათ და საჭმლის გარდა ერთი ჭიქა კარგის ლუდისა.

— რომიდგან სწერენ გაზ. „Wiener Allg. Zeit"-ს: მასსოვიდგან ყოველ დღე მოდის ამბები, რომ აქ საშინელი სიცხეებია და ამის მიზეზით ვაჭრობა ამ ჟამად შეყენებულიაო. ამავე სიცხეების გამო დიდ-ძალი ევროპიელნი იხოცებიან, რადგან შეჩვეულნი არ არიან ამისთანა პაპანაქებაში ცხოვრებისა. მაგალითებრ, ერთი ავსტრიელი იწერება მასსოვიდგან: „დღე აქ საშინელი სიცხეა და ღამე ხომ აუტანელი. თუ ადამიანს ერთის საათით არის მაინც თვალის მოტყუება უნდა, ზეწარი და საბანი ყინულის წყალში უნდა დაასველოს, სულ ერთიანად გატიტვლდეს, ისე დაწვეს და თავზედა და გულზედაც სველი ტილოები შემოიწყოს. მიწვება თუ არა ასე კაცი, მაშინვე თვალთ მოეხუჭება, ჩაიძინებს, მაგრამ არ გაივლის ერთი საათი და სიცხე ისე შეაწუხებს, რომ ლოგინიდგან უნდა წამოხტეს. ეს არის მიზეზი, რომ ჯარის-კაცნი სულ ავადმყოფნი არიან და სულით დაცემულნი. ხშირად მოჰხდება, რომ ადამიანი შუა ქუჩაზე სულსა ჰლევს, რადგან მზე დაჰკრავს ხოლმე თავში."

— სარა ბერნარი დაბრუნდა პარიჟში, გაისტუმრა ყველა ვალები და ამასთან ამბობდა თურმე, რომ დღეის იქით აღარ დავიდებ ვალებს და ფულებს უბრალოდ არ გავფლანგავო. სარა ბერნარი პარიჟში ცოტა ხანს აპირებს დარჩენას; ოქტომბერს, ან ნოემბერში „Porte St. Martin"-ის თეატრში ითამაშებს სარდუს ახალს პიესაში: „Directoire". შემდეგ წავა ინდოეთსა, ჩინეთსა, იაპონიასა, ავსტრალიასა და კვლავ ამერიკაში. სარა ბერნარს უთქვამს „Morning News"-ის კორრესპონდენტისათვის, რომ ჩრდილოეთისკენაც და სამხრეთისაკენაც ისე მეპყრობოდნენ, როგორც დედოფალსაო. სარა ბერნარს მდიდრული მორთულობა აქვს სახლში და კარაპტად ზანგი ჰყავს; რამდენიმე სტოლი სავსე აქვს იმ საჩუქრებით, რომელიც სარა ბერნარს მიუღია. ყველაზედ მეტად სარა ბერნარი ამაყობს ერთის ნაჩუქარ ბრაზილიის შლიაპით, რომელიც ერთს გლეხ-კაცს მიურთმევია. სარას ამ გლეხ-კაცისათვის ორივე ლოყაში უკოცნია. „თავის დღეში არ დამავიწყდება ის სახე და ზედ დაჭდეული სიამოვნება, რომელიც გლეხ-კაცს ეტყობოდა, როცა შლიაპა მომაწოდა", უთქვამს სარა ბერნარს ამ ამბის მოთხრობის დროს.

გასართობი

ამერიკის ქალაქ ნიუ-გავენის ფოსტის უფროსს ოგიოდგან წერილი მიუღია თავის სახელზედ. წერილი რომ გახსნა თურმე, შიგ მეორე წერილი იდვა შემდეგის წარწერით: „გთხოვთ ეს წერილი გაუხსნელად გადასცეთ ნიუ-გავენის ყველაზედ განათლებულსა და ლამაზს ახალგაზრდა ქალსა. ეს ქალი თვრამეტიდგან ოც-და-ოთხ წლისაზე მეტი არ უნდა იყოს". საბრალო ფოსტის უფროსი ჩაფიქრდა თურმე, ბევრი იფიქრა, ბევრი იაზრა, როგორ ეშველება ამ საქმესაო, და ბოლოს უარი სთქვა მინდობილების აღსრულებაზედ. თუმცა ამ კაცმა უარი სთქვა, მაინც თუ ლამაზი და განათლებული ახალგაზრდა ქალი მივიდა ფოსტაში და თან წლოვანების მოწმობა მიიტანა, უეჭველია მიიღებს ამ წერილსა.

**

გერმანიის ერთ ქალაქის კლუბში სამს ენაზედ არის გამოკიდებული განცხადება. ამ განცხადებაზე ჰოლანდიურად სწერია: „Het is verboden hier te rooken", ესე იგი: „აქ თამბაქოს მოწევა აღკრძალულია"; გერმანულად სწერია: „Das Rauchen ist hier nicht gestattet", რაც სიტყვა-სიტყვით ქართულად ჰნიშნავს: „აქ თამბაქოს მოწევა არ შეიძლება"; ფრანგულად სწერია: „On est prié de ne pas fumer", ესე იგი: „გთხოვთ, რომ აქ თამბაქოს ნუ მოსწევთ". ინგლისულად არაფერი სწერია-რა, რადგან ინგლისელებს საზოგადოდ ჩვეულებად არა აქვთ საზოგადოებაში თამბაქოს წევა. ჰოლანდიელთ წევა აკრძალული აქვთ; გერმანელთ ნება არ ეძლევათ; ფრანგებს სთხოვენ, რომ ნუ მოსწევთო. ამ სიტყვებში მეტად კარგად იხატება ამ ერთა ხასიათი.

დეპეშები

12 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს ფინანსთა მინისტრის ამხანაგისა და საბირჟო კომიტეტის თანადასწრებით სახელმწიფო ბანკის გასსიდგან გადატანილ იქმნა 40 მილლიონი მანათის ოქროს ფული განსაკუთრებულს გასსაში, რომლის დანიშნულება ის არის, რომ იქ შენახული ოქროსი და ვერცხლის ფული ბაზარში მოარულ ფულის მაგიერი იყოს.

ლონდონი. ავღანისტანის ემირის ავადმყოფობის ამბავი მართალი არ არის.

დუბლინი. გუშინ დუბლინის ლორდ-მერის თავ-მჯდომარეობით შესდგა დიდი კრება, რომელზედაც დაესწრო რამდენიმე ინგლისელი წევრი საზოგადოებათა პალატისა. კრებამ სთქვა, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვიქმნებით, თუ ირლანდიის საერო ლიგა სახელმწიფოსათვის საშიშარ საზოგადოებად გამოაცხადესო. კრებამ ერთ-ხმად დაადგინა: აგრეთი განზრახვა ჩვენ უსინიდისო განზრახვად მიგვაჩნიაო; მაგით უნდათ ხელი აადებინონ ირლანდიის ერს იმ ბრძოლაზე, რომელსაც იგი ეწევა თავის უფლებათა დასაცველად და რომელიც მშვიდობიან და კონსტიტუციის შესაბამ ბრძოლად უნდა ჩაითვალოსო.

13 აგვისტო

პეტერბურგი. „Berliner Tageblatt"-ის იმ შენიშვნის გამო, რომელშიაც ნათქვამი იყო, ვითომ პრინც კობურგის მიერ საერთაშორისო ხელ-შეკრულებათა დარღვევის გამოისობით დიდნი სახელმწიფონი სოფიიდგან უკანვე იბარებენ თავის სადიპლომატო აგენტებსაო; „Journal de St.-Petersbourg"-ი ამბობს: ხელ-შეკრულებათა ამ გვარად დაცვას პრაქტიკულად არა ვითარი მნიშვნელობა არა აქვს. სახელმწიფოთა ამ გვარს მოქმედებას მაშინ ექმნება მნიშვნელობა, თუ დარღვეულ ხელ-შეკრულებათა უფლებათ აღადგენენ. თქმა არ უნდა, რომ მარტო სადიპლომატო აგენტთა უკან დაბარება ამ დარღვეულ უფლებათ ვერ აღადგენს. იგივე გაზეთი ამბობს: პრინცმა, სოფიაში, მისვლის დროს, უთხრა ქალაქის თავს რომ ჩემის მოსვლით ბოლგარიაში მე მინდა დავუმტკიცო ბოლგარიას ჩემი ჭეშმარიტი სიყვარული და პატივის-ცემაო, და დასძინა: პრინცი მაშინ უფრო დაუმტკიცებს ბოლგარიას თავის სიყვარულსა და პატივის-ცემას, თუ, რაც შეიძლება, ბოლგარიას ჩქარა თავს დაანებებს და წავა იქიდგან.

„Русскій Инвалидъ"-ში გამოცხადებულია: დადგენილ იქმნა, რომ ხარკოვის უნივერსიტეტისათვის ხარკოვის სამხედრო საავადმყოფოში ცალკე განყოფილებანი იქმნას დაარსებულიო.

სოფია. ოსმალეთმა გამოუგზავნა პრინცს ფერდინანდს დეპეშა და ჰკიცხავს, რომ შენ მიერ ბოლგარიის ტახტის დაჭერა ოსმალეთის და სხვა დიდთა სახელმწიფოთა ნება-დაურთველად უკანონო საქციელიაო.

სტამბოლი. თუმცა რუსეთი დაბეჯითებითა თხოულობს ოსმალეთისაგან, რომ შენის სიტყვისამებრ ბოლგარიაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი არტინ-ეფენდი გაგზავნე ოსმალეთის უმაღლესს კომისარადაო, მაინც ოსმალეთი სხვა-და-სხვა მიზეზებს იდებს და თავის სიტყვას არ ასრულებს.

თეირანი. ავღანის ტახტის მოცილე ეიუბხანი თავის წარჩინებულ მომხრებითურთ გაიქცა ჰერათში სპარსეთიდგან, სადაც საცხოვრებლად იყო გაგზავნილი. ზომაა მიღებული გაქცეულთა შესაპყრობად.

პეტერბურგის ბირჟა, 11-ს აგვისტოს ფასები:

	მყიდველთა	გამყიდველთა	გაყიდულთა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ›	— ›	9 27
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	180
მანათიანი ვერცხლის ფული, ...	— ›	— ›	1 29
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	— »	$276^1/_2$
— მეორისა	— ›	— ›	256
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	— ›	— ›
ტფილისის სურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . , .	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.
აგვისტო 31 დღით არის.

14 დღე პარასკევი. წმ. მიქეა წინასწარ-მეტყ. კათოლ. ევზებიასი და დემეტრიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიმ-უტთერვია, დღე აბრაამის ფიქრისა ისმაილის (ისაკის) მსხვერპლად შეწირვის გამო. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44. მთვარე 8 დღისაა.

15 დღე შაბათი. მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. წმ. მარიამის მიცვალება. იოსებისა და იოანნასი. სომეხ. დღესასწაული წმ. ეჩმიაწინისა. ნავაკატიქი. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43. მთვარე 9 დღისაა.

16 დღე კვირა. დღესასწ. უფლის იესო ქრისტეს ხელთ-უქმნელის ხატისა. კათოლ. იოხამისა, როხასი და გიაცინტასი. სომეხ. მიცვალება წმ. ღვთის-მშობლისა. კურთხევა ყურძნისა. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიისა ტფილისში. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა ყურბან-ბაირამი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—41. მთვარე 10 დღისაა.

17 დღე ორშაბათი. წმ. მირონისა კათოლ. ანასტაზიასი და ემილიასი. სომეხ. ჰოშატაკ მერელოცი. გარდაცვალებულთა კურთხევა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39. მთვარე 11 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› 2 ›	$2^1/_2$
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	$3^1/_2$ ›
› › 3 ›	3
ჯვარის მამის პურის ღავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	› ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხის.	› ›
› 2 ›	› ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროება ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

Дозв. цен. Тиф. 12 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე